ოქმი:ო37. 3723040001
თარიღი:09/02/2023

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 8 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

11.00 -14 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. არუშიძე და ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, შ. თავდიშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, ნ. სარჯველაძე.
მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მერის მოადგილე ნ. გოლიაძე.
მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29-მ, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თურქეთის რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულ ადამიანებს. შემდეგ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ ითხოვა თანამომხსენებლის-პ. კიღურაძის არ ყოფნის გამო მე-6 საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება, საკითხი მოიხსნა განხილვიდან ღია კენჭისყრით. ამ ცვლილებით, 29-ხმით დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ სიტყვა ანგარიშის წარმოდგენისათვის მისცა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ შემდეგ სხდომა გადავიდა მისი შეფასების რეჟიმში, უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა ფრაქციის სახელით მადლობა გადაუხადა დ. დარჩიას ერთობლივი წარმატებული საქმიანობისათვის და გამოთქვა აზრი ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად. ანგარიში მიიჩნია უაღრესად საქმიანად და გაიზიარა მ. ჩხიკვიშვილის მოსაზრება და ამასთან, მადლობა გადაუხადა ერთობლივი მუშაობისათვის აღმასრულებელ ხელისუფლებასაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. აროშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ წარმატებები უსურვა დ. დარჩიას მომავალ საქმიანობაში, აღნიშნა, რომ ანგარიში იყო ყოვლისმომცველი, კრიტიკული და საქმიანი, დ. დარჩია ოსტატურად აბალანსებს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მუშაობას, მადლობა გადაუხადა ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას კოლეგიური მუშაობისათვის.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტულია ამ კომისიის წარმატებული საქმიანობა, აზრი გამოთქვა დამაკმაყოფილებლად შეფასებულიყო გაწეული საქმიანობა.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აქაც აღნიშნა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ამ კომისიის მუშაობა, რადგან ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალიტეტის უპირველესი ამოცანაა, გაიზიარა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ტ. აროშიძის წინადადება ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,

სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ანგარიში იყო საქმიანი და ყოვლისმომცველი, უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ანგარიში იყო საქმიანი და კრიტიკული, კომისია განსაკუთრებით ბოლო ორი წელია გააქტიურდა, პრიორიტეტი გახდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება, ამდენად კომისიის მუშაობაც უფრო უნდა გააქტიურდეს, გამოთქვა აზრი ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

12.40-საათზე გამოცხადდა 15 -წუთიანი შესვენება.

სხდომა გაგრძელდა 13.00- საათზე, რეგისტრაცია გაიარა 23 -მმა საკრებულოს წევრმა.

2.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

3.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

4.8. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მსგავსი, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის-განკარგულების საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებით მიღებას არ ითხოვს კანონმდებლობა, ეს უფრო მიღებული პრაქტიკაა, ამდენად უმჯობესია მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, პროცედურების დაცვით, აწარმოოს თავად პროექტის ავტორმა-აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რაზეც მერის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე და საკრებულოს წევრებიც დაეთანხმნენ.

5.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

6.10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ. 26.26.56.005) სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ (ს.ნ.437372095) გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

7.11. ,,ქალაქ ოზურგეთში გამსახურდიას მოედანთან საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

8.12. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩის ,,ალექსანდრე ღლონტის ქუჩა“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 მაისის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

9.13. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“-ს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

10.14. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

11.15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან

დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

12.16**.** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023-2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 23- ხმით

17. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჭანიშვილმა-აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს განცხადებით საქართველო უსწრებს მთელი რიგი მაჩვენებლებით უკრაინასა და მოლდოვას, ამდენად საქართველომ უპირობოდ უნდა მიიღოს ევროკანდიდატის სტატუსი, თუ იქნება ევროკომისიის სამართლიანი გადაწყვეტილება, რაც შეეხება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს კიდევ ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, მათ შორის დეოლიგარქიზაცია, რომელიც მორგებული უნდა იყოს მეცენატ ბ. ივანიშვილზე, რაც რეალურ სინამდვილეს არ ასახავს და მხარს არ უჭერენ კანონპროექტს, რომელიც უშუალოდ ეხება მათ დამფინანსებელს კეზერაშვილს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი